საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

№ 238 ხუთშაბათი, 23 მაისი 1918 წ. № 238

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

მთავრობას ცნობა მოუვიდა ოსმალოები ტფილისის შარა გზით მოდიანო.—საგარეო საქმეთა სამინისტროს ატყობინებენ, რომ გერმანიას არ შეუძლია ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა იცნოს, ვიდრე რუსეთის მთავრობის დამოკიდებულება არ გამოირკვევა ამ საკითხის შესახებ.—სპარსეთმა ინგლისის წინადადება უარჰყო და შეთანხმების ხელშემწყობთა კოალიციაში შესვლაზე არ დასთანხმდა.—უკრაინაში გეტმანობა გამოცხადდა: გეტმანად სკოროპადსკი აირჩიეს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 10 მანეთ., 20×2 ღირს 15 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (ქ. თავართქილაძისეული „ნადეჟდა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და ფასიანი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში უქმე-დღეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., ხარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

აზერბეიჯანის რაიონის კავკასიის ქალაქთა კავშირის თანამშრომელნი აუწყებენ ამხანაგთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს 23 მაისს საღამოს 6 საათზედ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი ტრაგიკულად მოკლულ ქ. თავრიზში ძვირფას მეგობრის

ექ. იაკობ გრიგოლის ძის

გამეზარდაშვილის

სულის მოსახსენებლად. 520

21 მაისს ქ. თელავში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

დიმიტრი (ტიტიკო) ზაქარიას ძე

საყვარელიძე

რასაც ღრმა მწუხარებით იუწყებიან მეუღლე მარიამი, შვილები: ზაქარია, დარია, ივანე, სოფიო, ეკატერინე, არჩილი და მიხეილი, რძლები: მარიამ, ნინო და მარიამ საყვარელიძეები, სიძენი: ვლადიმერ ყანჩაველი, ალექსანდრე მჭედლიშვილი და ვლადიმერ ლაზარაური. დაკრძალვა ქ. თელავში, პარასკევს, 24 მაისს.

საქართველოს ეკონომიკა და დემოკრატიის პოლიტიკა

კვირას, 26 მაისს (ახალი დროით) დილის 11 საათზე ქართულ კლუბის საზაფხულო შენობაში დანიშნულია

საზოგადო დამფუძნებელი კრება

ტფილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კავშირისა

განსახილველი საგნები:

1. მოხსენება საორგანიზაციო კომიტეტის მოქმედების შესახებ.
2. ხარჯთ-აღრიცხვა კავშირის 1918 წლისა.
3. ამორჩევა საბჭოს წევრებისა და მათ კანდიდატებისა.
4. ამორჩევა გამგეობის წევრებისა.
5. ამორჩევა სარევიზიო კომისიის წევრების და მათ კანდიდატებისა.

საორგანიზაციო კომიტეტი სთხოვს კავშირის ყველა წევრებს უთუოდ დაესწრონ ამ კრებას, რადგან როგორც პოლიტიკური ისე საზოგადოებრივი მდგომარეობა ჩვენი ქვეყნისა მოითხოვს ვაჭარ-მრეწველთა შეკავშირებას და მათ საზოგადო სარბიელზე გამოსვლას.

519

საორგანიზაციო კომისია.

20 მარტიდან ქ. ტფილისში გაიხსნა

სავაჭრო სახლი „კომერსანტი"

კერძო პირთ, საზოგადოებებს, კოოპერატივებს, სხვა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს, ქალაქისა და სოფლის ხალხს შეუძლია ამ სავაჭრო სახლის შემწეობით შეიძინოს ყოველგვარი ნაწარმოებები, რაც კი მოიპოვება შინაურ და უცხოეთის ბაზარზე.

ყველას, ვისაც რაიმე ნაწარმოები აქვს, შეუძლია გაასაღოს სავაჭრო სახლი „კომერსანტი"-ს შემწეობით.

„კომერსანტს" ჰყავს აგენტები როგორც კავკასიის ყველა დიდ ქალაქებში და სოფლებში, ისე რუსეთის და უცხოეთის დიდ ქალაქებში.

„კომერსანტი" თვალყურს ადევნებს შინაურ და უცხოეთის ბაზარს, იცის რა ნაწარმოებია იქ გამოტანილი და რა დღეებში შეიძლება მისი შეძენა.

„კომერსანტებს" აქვს რუსეთის და უცხოეთის დიდი ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლობა და მხოლოდ მისი შემწეობით შეუძლიანთ მსურველთ ამ ფაბრიკა-ქარხნებიდან სხვა და სხვა მანქანების და ნაწარმოებების შეძენა.

„კომერსანტი"-ს კანტორა მოთავსებულია გოლოვინის პროსპექტზე ქალაქის სახლში № 10 და ღიაა დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

დეპეშით მისამართი ტფილისი „ტორგდომი". 1160

კვირას 26 მაისს, ტფილისის კომიტეტი ჰმართავს ამხ.

ვახტანგ კოტეტიშვილის

ლექციას შემდეგ თემაზე: „ამიერკავკასია, თუ საქართველო". ლექციის შემდეგ კამათი.

ლექცია გაიმართება პარტიულ კლუბის დარბაზში.

შესასვლელი ფასი ერთი მანეთი. დასაწყისი საღ. 7 საათზე.

ქალაქის გამგეობა

აცხადებს

რომ ქალაქის სხვა და სხვა რაიონში და მის განაპირა უბნებში (სადგურის იქით ნაწილში, ლოტკის გორაზე, დიდუბეში და სხვაგან) საჭიროა ბინა საქალაქო სასწავლებლებისათვის: აქვე უნდა იყოს ზედმეტი ოთახები სასწავლებლის გამგესათვის (2—3 ოთახი) და სხვა საჭიროებისათვის.

განცხადებების შემოტანა შეიძლება ქალაქის გამგეობის სახალხო განათლების განყოფილებაში, ერევნის მოედანზე. 1171

ტფილისი. 23 მაისი 1918 წ.

პოლიტიკური ამოცანა.

დღეს ჩვენს გარშემო ბევრი რამ ისეთი ჰხდება, რასაც ჩვენ პოლიტიკური ამოცანა შეგვიძლიან დავარქვათ. უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია ფაქტები: სწარმოებს საზავო მოლაპარაკება; როგორ მიდის ეს მოლაპარაკება, არ ვიცით. ბათომში არიან წარმომადგენლები როგორც ოსმალეთისა, ისე გერმანიისა. ოსმალეთმა იცნო ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა დიპლომატიურად, მაგრამ ამისდამიუხედავად მაინც წინ იწევს და ამიერკავკასიაში ახალ-ახალ ტერიტორიას იპყრობს. ოსმალეთის მოკავშირეს გერმანიას კი ჯერ-ჯერობით ამიერკავკასია არ უცვნია. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, გერმანიას დამოუკიდებლობის ასაღიარებელ პირობად მიაჩნია რუსეთის დასტური. ამ დასტურის მისაღებად იგი ნაბიჯებს სდგამს და ამიერკავკასიას ჰპირდება შუამდგომლობას რუსეთსა და ამიერკავკასიის შუა. ასეთია ის მცირეოდენი ფაქტები, რომლებიც ჯერ-ჯერობით ჩვენს განკარგულებაშია.

ამ ფაქტებში ყველაზე საყურადღებო ფაქტად ის მიგვაჩნია, რომ გერმანია ხელ-აღებით არა სცნობს ჩვენს დამოუკიდებლობას და ანგარიშს უწევს რუსეთს, რომელთანაც იგი ბრესტ-ლიტოვსკის პირობით არის ხელშეკრული. ჩვენ ვიცით, რომ თანახმად ბრესტის ხელშეკრულობისა, ოსმალეთის პრეტენზიები ამიერკავკასიაში უკვე გადაცემული სამი ოლქის ოკუპაციაზე არ შეიძლება წავიდეს. ზავი რუსეთთან გერმანიამ ამით გაათავა. გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობების მიხედვით გერმანიას საჭიროდ მიაჩნია ყოველ შემთხვევაში ამიერკავკასიისთვის დაცული იყოს პირობები ბრესტის ხელშეკრულობისა და ეს კი სრულიად მოუხერხებელი იქნება, თუ ანგარიში არ გაუწია რუსეთს, რომელთანაც მან დასდო ზემოხსენებული ხელშეკრულობა.

ხელ-აღებული აღიარება ჩვენი დამოუკიდებლობისა გერმანიის მიერ ხელ-ფეხს გაუხსნიდა ოსმალეთს უფრო მეტად, ვიდრე ეს იქნება სასარგებლოდ მიაჩნია თავისი ინტერესებისთვის გერმანიას. გერმანია ამ შემთხვევაში საშუალო გზას არჩევს: დაუყოვნებლივ ჩვენს დამოუკიდებლობას არ იღებს, მაგრამ კისრულობს როლს დიპლომატიური შუამდგომლობისას რუსეთსა და ჩვენს შორის. რომ ამ შუამდგომლობას დიპლომატიური ფასი ჰქონდეს, იგი ბრესტის ხელშეკრულობის ნიადაგზე სდგას და ეს საშუალება აძლევს მას სათანადო ფარგლებში ამყოფოს როგორც თავისი მოკავშირე ოსმალეთი, ისე რუსეთი.

ეს არის დიპლომატიური მხარე ჩვენი საკითხისა. ფაქტიური მხარე კი ყველას მოეხსენება: ოსმალეთი ცდილობს დაიპყროს ყველაფერი, რის დაპყრობასაც მოასწრობს და მოახერხებს, რომ ამით მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენოს თავისი მოკავშირენი და ზურგი გაიმაგროს დიპლომატიური მოლაპარაკებისთვის მომავალში.

საუბედუროდ ჩვენს განკარგულებაში ძალიან ცოტა ცნობებია. რაც ვიცით, იმის მიხედვით ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემო ჰხდება, რაღაც პოლიტიკურ ამოცანად გვეჩვენება. ადვილად შესაძლებელია ჩვენი მოსაზრება არ გამართლდეს, მაგრამ ერთი რამ მაინც ყოველივე ეჭვს გარეშეა. ჯერ კიდევ ამ რამდენისამე ხნის წინად გერმანიის წარმომადგენელმა რუსეთის მთავრობას იმავე წინადადებით მიჰმართა, რანაირს წინადადებასაც აძლევს ამიერკავკასიის მთავრობას: ეს არის შუამდგომლობა. რომ გერმანია ერთგვარად თავის მფარველობის ქვეშ იტოვებს ამიერკავკასიას,—ეს ყოველივე ეჭვს გარეშეა. ეს სჩანს უკვე იმ დიპლომატიური ნაბიჯებიდან, რომლებიც გერმანიას გადადგმული აქვს. რა შედეგს მოუტანს ჩვენს ქვეყანას ეს საშუალო პოზიცია გერმანიისა, საბოლოოდ შეჩერდება გერმანია ამ პოზიციაზე, თუ რაიმე უფრო რადიკალურ გზას დაადგება, ამას, უეჭველია, ახლო მომავალი გვიჩვენებს.

ბათომის შემდეგ

ნ.

მაჰმადიანი ქართველები

ჩვენი ძმების ღალატმა გადასწყვიტა ჩვენი ბედი. ოსმალოებმა დაგვამარცხეს არა თავის ჯარით, არამედ ჩვენივე ძმების, მაჰმადიანი ქართველების ხელით. თავ-განწირულად იბრძოდნენ ჩვენს წინააღმდეგ აჭარლები, ქობულეთლები, ის ქობულეთლები, რომლებიც წინა დღით ძმობას და ერთგულებას გვეფიცებოდნენ. არ დაგვინდვეს იმათ, რომელთანაც, გვეგონა, საერთო სისხლი და ენა გვაერთიებდა. ჩვენი სული და გული მათკენ იყო და ვეხმარებოდით, რითაც კი შეგვეძლო, გვინდოდა მათი ჭირის და ლხინის გაზიარება და განსაცდელის დროს ძმურად გაუწოდეთ ხელი. ერთი ფიქრი გვიძღვებოდა წინ, არავითარს ანგარებას და ანგარიშს ჩვენს გულში ადგილი არ ჰქონდა—გვწადდა ძმების აღდგენა, აღორძინება გონებრივად, ქონებრივად და ჩაბმა საერთო ერის ცხოვრებაში. გვწამდა, რომ რასაც ვაკეთებდით, ეს იყო მათი კეთილდღეობისთვის, ამას მათვის სიკეთე და მადლი მოჰქონდა, გამოფხიზლება, გათვითცნობიერება, გაადამიანება.

მაგრამ ჩვენს ასეთს მისწრაფებას გულ-ცივად შეხვდნენ ჩვენი მოძმეები და როდესაც ჩვენი სამშობლოს ისტორიული მტერი ჩვენს დასამხობად წამოვიდა, წინ გამოუძღვნენ და პირველი ტყვია მათ გვესროლეს, მათ დაგვცეს პირველი ლახვარი. იშვიათი უმადურობა გამოიჩინეს, დაგვცინეს კიდეც იმისთვის, რომ ჩვენი ძმური გული ფეთქდა მათდამი და ერთი ვითომდა შეგნებული მაჰმადიანი ქართველი, რომელიც ერთს ქართულ პოლიტიკურ პარტიის დამფუძნებელ კრების საარჩევნო სიაშიც კი ჰყავდა შეტანილი, თითქმის ზიზღით გაიძახოდა თურმე: ერთი კაპეიკი მოგიციათ, ათს დაგიბრუნებთ, ერთი კვერცხი მოგიტანიათ, ათს მოგართმევთ, ოღონდ აქედან მოგვშორდით, თავი დაგვანებეთ!

ჩვენი გულწრფელი გრძნობა, ჩვენი სიყვარული კაპეიკებად და კვერცხებად გადაახურდავეს!

მაგრამ რასაკვირველია, ეს თავისთავად საყურადღებო არაა. უბედურება ისაა, რომ არა თუ ჩვენ გვიორგულეს,—უღალატეს თავის საკუთარს საქმეს, დაამარხეს თავისი მომავალი, თავის ხელით გამოჰჭედეს ოსმალოს ბატონობა და კისერზე თვით დაიდვეს მძიმე უღელი.

შეუგნებლად—უეჭველია. მაგრამ ეს ვისმე შველის, ან მათ და ან ჩვენ?

ჩვენი სიყვარული საყოველთაო აღშფოთებად შეიცვალა. ყველა ერთმა გრძნობამ აგვიტაცა ღალატის შემდეგ, რომ არ დაგვენდო ძმა, რომელმაც არ დაგვინდო, დაღუპა მთელი ერი, უფსკრულში გადააგდო, ჩაწიხლა. ჩვენს გულში გაჰქრა სიბრალული და არ იყო სასჯელი, რომელსაც დავერიდებოდით მუხანათ ძმებისთვის. ქართველი ერის შვილი არაა და საქართველოს მიწაზე არ უნდა ედგას ფეხი, ვინც ასე გასწირა მშობელი ქვეყანა და თავისი ძმები!

ასე ვგრძნობდით, ამას ვფიქრობდით ყველანი. მაგრამ ეს იყო პირველი გრძნობა, პირველი შთაბეჭდილება, რომელიც საბოლოოდ ვერ დაიბუდებდა ჩვენს გულში.

ბათომის დღეების შემდეგ ერთს სადგურზე ვნახე მტრის ტყვეები, ოსმალოს ჯარის-კაცები. მათში ოთხ აჭარელი ერია. საოცრად შეშინებულნი იყვნენ, თავი ჩაეღუნათ და ხანდახან გაუბედავად გამოიცქირებოდნენ. გარშემო ხალხი იდგა, აგინებდნენ, ემუქრებოდნენ. აჭარლები ხმას ვერ იღებდნენ და აკანკალებულნი მოელოდნენ, მოგვკლავენ, ტყვიას გვესვრიანო.

ვუცქირე, ვუცქირე და მწარედ დავღონდი. თვალწინ წამომიდგა მათი მწარე წლები. ის წამება, რომელიც იყო მათი ბედი, ის ტანჯვის მძიმე, აუტანელი პროცესი გადაგვარებისა, რომელიც გამოიარეს და რომელმაც მიიყვანა ეხლანდელ მდგომარეობამდის.

განა ნებით გაჰყვნენ ამ გზას? რამდენი ცრემლი და სისხლი დაიღვარა, ვიდრე ასეთი მოღალატენი შეიქნებოდნენ თავის დედის და ძმების!..

მერე მცირედი არაა ჩვენი დანაშაული, თანამედროვე ქრისტიან ქართველებისა. თავიდანვე ჯეროვანი ყურადღება არ მივაქციეთ სამაჰმადიანო საქართველოს მდგომარეობას, ენერგიულად არ მოვკიდეთ ხელი საქმეს და რაც გავაკეთეთ, არ კმაროდა ჩვენი ქვეყნის რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დაშორებულ ნაწილების გასაერთიანებლად.

არც ისეთს საშუალებას მივმართეთ, რომ ჩვენი მოღვაწეობა უფრო ნაყოფიერი გამოსულიყო. ვერ დავუახლოვდით ხალხს, ვერ გავეცით პასუხი მის საჭიროებას. ბეგების გულის მიგებასაც ვცდილობდით და ხალხისაც, წმინდა სახალხო, დემოკრატიული პოლიტიკა ვერ ვაწარმოვეთ; ხალხს ვერ ჩამოვაშორეთ მუხანათი ბეგები და ამან დაღუპა მისი და ჩვენი საერთო საქმეც.

გარდა ამისა აღსანიშნავია შემდეგი გარემოება. ცხადია, ჩვენს ძმებს იმდენად ჩვენი შიში და უნდობლობა არ ჰქონდათ, რამდენად რუსეთის. მათვის ჩვენ და რუსები თითქოს მთლიან ერთეულს წარმოვადგენდით და სიძულვილი რუსებისადმი ჩვენზედაც გადმოიტანეს. ჩვენ რომ ადრევე გარკვეულ ეროვნულ გზას დავდგომოდით და საკუთარი სახე გვეჩვენებია ჩვენი მაჰმადიანი ძმებისთვის, შესაძლებელია არ მომხდარიყო, რაც მოხდა და მეტის ნდობით მოეპყრობოდნენ მაჰმადიანი ქართველები საერთო საქმეს...

ასეა თუ ისე ქართველი ერის გამთლიანება დღეს უფრო გაძნელებულია, ვიდრე გუშინ იყო. ამას ჩვენი გონება და შეგნება ვერასოდეს შეურიგდება. უნდა გამოვნახოთ ახალი რამ იარაღი.

სამ. ფირცხალავა.

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა და გერმანია

ტფილისი. 21 მაისი, „ანდონსანი". საგარეო საქმეთა სამინისტროში ცნობა მოვიდა გერმანიას არ შეუძლია იცნოს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა, ვიდრე არ გამოირკვევა რუსეთის მთავრობის დამოკიდებულება ამ საკითხთან. გერმანიის რწმუნებულს მოსკოვში გრაფ მირბახს მიენდო შეეკითხოს ამის შესახებ რუსეთის მთავრობას. გერმანია მზად არის შუამავლობა გასწიოს იმ მიზნით, რომ შეათანხმოს რუსეთი და ამიერკავკასია. გერმანია აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიის აღიარება გერმანიის მიერ არავითარ სხვა პირობებზე არაა დამოკიდებული გარდა იმისა რომ ამიერკავკასიის ჩამოშორება რუსეთისაგან მოსკოვის მთავრობამ უნდა იცნოს.

ოსმალოები ტფილისისაკენ

ტფილისი. 21 მაისი. „ანდონსანი". მთავრობის ცნობა. დღეს მთავრობამ გენერალ ნაზარბეკოვისაგან შემდეგი ცნობა მიიღო: „მიუხედავად დროებითი ზავისა, ოსმალოები განაგრძობენ საომარ მოქმედებას და კერძოდ, შეტევას აწარმოებენ კარაკლისის ფრონტზე; იმათ დღეს სოფ. ავდიბეგიდან გამოდევნეს ჩვენი სადარაჯო ნაწილი. ცნობები მოვიდა დიდძალ ჯარს აგზავნიან ტფილისის შარა გზის მიმართულებით ლორის რაიონშიო; მიღებულია აგრეთვე ცნობები, რომ ისინი განაგრძობენ შეტევას კარაკლისზე და შემდეგ ტფილისზე". მთავრობას ჯერ არავითარი ცნობები არა აქვს ოსმალოების მოახლოვების შესახებ. ნაზარბეკოვის ცნობა თუ ის დადასტურდება, ფრიად შემაძრწუნებელია, რადგან ის ემუქრება ტფილისის რაიონს. მთავრობამ იმ წამსვე გადასცა ყველა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარქვათ. ამ ბანაკთა შორის დიდი კონტრასტია. ერთი—საღი გონებით, საღი გრძნობით, მომენტის სირთულისა ჭეშმარიტი დამფასებელი წარმომდგენი, ერის ტკივილის, ერის საფრთხის, მისი სულიერ მდგომარეობის შემაფერხებელი, მისგან დაღონებული. მეორე—ანტიპოდი პირველის, უარის მყოფელი თავდაცვის, ერის ფიზიკური განადგურების არაფრად ჩამგდები. აი ასეთი ერთმანეთისადმი მოწინააღმდეგენი ვიყავით ჩვენ ბატარიაში. ადრე, სანამ სალაშქროდ გაგვამგზავრებდნენ, ჩვენ გვეგონა, რომ ასეთი ტიპები სიტყვით გვეწინააღმდეგებიან, ეს მხოლოდ დროულია, მაგრამ საჭიროების დროს იძულებული იქნებიან ჩვენ გამოგვყვნენ. მაგრამ მოვსტყუვდით. დავრწმუნდით, მათი სიტყვანი გულწრფელად ყოფილა ამოღებული მათი გულიდან და როს საქმე საქმეზე მიდგა ნათლად დავინახეთ მთელი სიმწვავე ჩვენი წინააღმდეგობისა. მათ, ძველმა ნამსახურმა ჯარისკაცებმა სალაშქროდ გამზადების დროს მოინდომეს დეზორგანიზაციის გამეფება მთელს ჩვენს ბატარეაში, მოისურვეს თავის დაავადმყოფებული სულის ჩირქი მთელი ნაწილისათვის მოეცხოთ. მაგრამ მტკიცე აზრი უხეშს არასოდეს არ დაემორჩილება: მათ ვერ მოახდინეს ვერავითარი გავლენა ახალგაზრდა ჯარისკაცებზე, პირიქით თვით ახალგაზრდებმა მოინდომეს მათი სამართალში მიცემა და ამიტომ მთელი შემადგენლობა მეამბოხე ჯარისკაცებისა, რიცხვით 19 კაცამდე დამწყვდეულ იქმნა ბრიგადის საპყრობილეში.

ბრიგადის უფროსის დანიშნულს დროს ორი საათი გადავაცილეთ და საღამოს 5 საათზე მზად ვიყავით დავძრულიყავით ყაზარმებიდან. ყველას ალტაცება, სიხარული, სიცოცხლე ეტყობა. ყველას თავის ადგილი უკავია და უცდის უფროსის განკარგულებას. გაისმა კომანდარის ბრძანება: და არტილერიაც დაიძრა.

ჩვენი მოწინააღმდეგები ჯარისკაცები, დამწყვდეული რომ იყვნენ საპყრობილეში, ასულიყვნენ მის მაღალ, რკინით შემოსალტულ სარკმლებზე და აქედან გვიცქეროდნენ. ვინ იცის, იქნებ ბევრი მათგანი ნანობდა ჩვენთან რომ აღარ მოდიოდა, იქნებ ზოგიერთებში იყო ბრძოლა, სინიდისის ქენჯნას რომ ვეძახით, იქნებ ბევრი სხვისი აზრის მაჩანჩალა გახდა, გრძნობდა მას და მწარედ სწყევლიდა თვის ბედს? გამოვედით სამხედრო გზაზე და ყველა მოქალაქეს ჩვენსკენ მოუმართნია თვისი ცნობის მოყვარე თვალები. მოგვლენ, გვკითხავენ: „სავარჯიშოდ თუ საომრად? ერთი შუა ხნის კაცი უკანიდან ხელსა მცემს და მეკითხება: „შვილო საომრად რად მიდიხართ, როცა ზავი შეკრულია?“—ჩვენ სულ სხვა მხარეს მივდივართ, სადაც ზავის არაფერი გაეგებათ რა და განაგრძობენ თავის მოქმედებას ჩვენს წინააღმდეგ—გუპასუხე. „მაშ რომელია ეგ დაწყევლილი მხარე?“—არ შემიძლია დაგისახელოთ—ის აღარ მაძლევს სხვა კითხვას, გზას მილოცავს და „მშვიდობით“ მეუბნება. აი უკვე ვერის აღმართს დავადექით, იქ მხვდებიან ქართული უნივერსიტეტის მსმენელები, ჩემი ამხანაგები და მეკითხებიან: „სად მიდიხართო“. გადაჭრილ პასუხს არ ვაძლევთ; ისინიც მშორდებიან „გამარჯვებით“ და „მშვიდობით“. უკვე ექვსი საათი იყო, სადგურს რომ მივედით ჩვენთვის საჭირო ვაგონები უკვე ჩამოეყენებინათ და ჩვენც დავიწყეთ მთელი ჩვენი იარაღის, ცხენების ადგილის მონახვა. დავტვირთეთ ვაგონები, კიდეც დაბინდდა, სავახშმოდ სამზარეულო ვაგონთან რიგში ვიდექით რომ მოგვესმა ხმა კომანდირის არ რიგად ჩადგომის. ჩვენც დაუხანებლივ ვტოვებთ სამზარეულოს და ვასრულებთ ბრძანებას. მწკრივებში გაწყობილებს, ქუდებს გვახდევინებენ და ბრიგადის მღვდელი შეუდგება სამღვთო მოვალეობის ასრულებას. ამის შემდეგ კერძო სიტყვას წარმოსთქვამს, გვისურვებს ბრძოლაში გამარჯვებას, ქართველი ერის თავისუფლების მოპოვებას. სიტყვითვე გვემშვიდობება ბრიგადის უფროსიც.

ვივახშმეთ. ჩვენი ჯარის კაცები მეტად მხიარულნი არიან: ერთს კუთხეზე—იმღერიან, მეორეზე—დოლსა და სალამურს უკრავენ და ქართველურად ცეკვას უვლიან.

ისმის ხმა კომანდირის: „ვაგონებში დასხდით“. დავიჭირეთ ადგილები. მატარებელი მაინც არ იძვრის. ისევ გაისმის გარედ მეტიწილი ჯარის კაცების და ისევ სიმღერა, ისევ ცეკვა. ცოტა ხნის შემდეგომ ისევ ვიჭერთ ადგილებს.

ისინი, ვინც ყუმბარებს ვისვრით (ნომრები), მოვთავსდით ოფიცრების ვაგონში; დანარჩენები კი, ზოგი ცხენებთან არის, ზოგი ყარაულში და მორიგედ გარე ვაგონებში.

მატარებელი დაიძრა და ქშენით გაუდგა გზას. ჩვენს ვაგონში ბაასია სამხედრო და პოლიტიკურს საკითხებზე; მე კი განმარტოებით ვწევარ მესამე „პოლკაზე“.

ვწუხვარ, ძალიან მაფიქრებს ბედი ჩვენი პატარა ერის, რომელსაც ესეთი უდიდესი და უუსასტიკესი საფრთხე მოსდგომია კარს და მასში არ არის ძალა. რომელმაც შეინახოს, შეინარჩუნოს მისი სახე, მისი მთლიანობა, მისი სხეული. პატარა ერს ისე ჩ უკლეს სიყვარული თავისი თავისა, ისეთი გავლენა მოახდინეს მასზე, რომ აღარა აქვს წარმოდგენა თავის „მე“-ს, აღარ სწამს შენარჩუნება თავისი თავით საკუთარი „მე“-სი და წინდაწინვე აწერს ხელს თავის სიკვდილის განაჩენს. და ასეთ მდგომარეობით შეპყრობილნი, ტიპები ზედმეტი ელემენტების, გამოჩნდნენ ჩვენს ნაწილში. ძალზე ვოხრავ და იმ დამწყვდეულ ჯარის კაცებზე ვამბობ: „დიაჰ, სასტიკი სასჯელი მათ“.

„სიკვდილი, სიცოცხლის გამოსალმება“ აი რა უნდა ვარგუნოთ წილად ჩვენს მტრებს. ადრე, მშვიდობიანობის დროს, ხშირად ვამბობდი ხოლმე: „რად უნდა ჰქონდეს ადამიანს იმის ნებაუფლება, რომ გამოასალმოს ამ წუთისოფელს მისებრ მოძრავი არსება, ადამიანი? რად უნდა ინებოს და იუფლებოს ადამიანმა ადამიანზე?“ დღეს კი, დღეს, როცა ჯარის კაცი გავხდი, ვიძახი: სასტიკი სასჯელი“, „სიკვდილი მტერს“. ადრე ვამბობდი ხოლმე: „რა გინდ მართალი არ უნდა ვიყო, რომ დანამდვილებით, ჩემის თვალებით ვხედავდე, ვინმე გულს მიგმირავდეს, მაინც, ჩემის მხრივ, შეძლება რომ მქონდეს, არ მოუსპობ მას სიცოცხლეს, არ გაუწყვეტ სიმს ამ ქვეყნიურ ცხოვრებასთან“. დღეს კი სულ სხვა აზრითა ვარ გაღენთილი, სულ სხვა რამ მიტრიალებს თავში.

დღეს ვამბობ: „თუ საქმე სიმართლის სასწორზე სდევს, სიმართლისათვის სასტიკი ვიქნები, სიმართლის შემბღალველ მტერს ყუმბარას ვესვრი, ნაცარტუტად ვაქცევ“.

„მწამს, ადამიანს უნდა თავისუფლება, უძლიერესი თავისუფლება, აქ ეს სამართლიანობის ნაკარნახევია; ადამიანის კრებულსაც, ერს სწყურია თავისუფლება, მეტადრე ერს, რომელსაც დღენი თვისი არსებობისა მონობის უღელში უტარებია. მისი მდგომარეობა დავანგრიოთ, თუ ის უსამართლობაზე არის აგებული, აშენებული“.

ამ ფიქრებში ვიყავ, რომ ქარელის სადგურის მივედით. აქ უკვე საკმარისად გათენებულიყო. ჩამოვედი „პოლკიდან“ და დაუწყე ცქერა ფრონის ხეობის სოფლებს. ვიგონებდი წარსულს ზაფხულს, იქ რომ ვმუშაობდი, გავყურებდი სოფლებს, რომელთაც იმდენი ტკბილი შთაბეჭდილება დამიტოვეს.

ავედით ხაშურის სადგურზე. დიდს ხანს გავჩერდით. ჩვენმა ჯარის კაცებმა აქაც გამართეს ცეკვა-სიმღერა. მოდიან მოქალაქენი, უცქერიან, ხარობენ, სტკბებიან. ორი საათის შემდეგ კომანდირმა გვიბრძანა ვაგონებში შესვლა. შევედით ჩვენს ვაგონში მოსულიყო აგრეთვე ამხ. სამი, დადიანი, ისიც ბორჯომისკენ მოდიოდა, უნდა გაეგო პარტიზანული რაზმი საით წასულიყო. ჩვენი კომანდირი ეუბნებოდა: „ქვეითა ჯარში, ყველაზე გულადი, მხნე, შეუპოვარი, ჭეშმარიტი მებრძოლი თქვენ სოციალისტ-ფედერალისტებს გყოლიათ და ისე მოვახერხოთ საქმე, რომ ჩვენი არტილერიის „საფირო“ იყოთო. ძალიან მახარებდა, თუ ჩვენი პარტიული ამხანაგებიც ჩვენ შემოგვიერთდებოდნენ. მივედით ბორჯომში და აქ, როგორც ეტყობა დავრჩებით 3—4 დღე, შემდეგ კი ნამდვილ სალაშქროზე, სადარაჯოზე ვიქნებით.

ვანო ნიკოშვილი.

საავადმყოფო თელავში.

საექიმო დახმარების მხრივ თელავი დიდ დანაკლისს განიცდიდა, მთელ 18—20 ათას მცხოვრებიან ქალაქს ერთი მოწყობილი ოთახიც არა ჰქონდა, რომ გზაში უბედურების დროს თავშესაფარში აღმოეჩინათ დახმარება და მოქალაქეს ქუჩაში არ ამოხვლოდა სული.

ჩვენი დემოკრატიული ქალაქის საბჭო ჯერჯერობით ვერ შესძლებდა საჭირო დაწესებულების დაარსებას და აი ამ დროს, გამოჩნდა თელავის მოქალაქე მოსეს ხითაროვი და 50 ათასი მანეთი შესწირა ისეთ დაწესებულების დასაარსებლად, რომლითაც ერთნაირ ისარგებლებდნენ ყველა მცხოვრებნი ეროვნების განურჩევლად მხოლოდ ასეთ დაწესებულების ასარჩევად მოქალაქე ხითაროვის სურვილით ქალაქის საბჭოსთან შესდგა კომიტეტი, რომელშიაც თანასწორად შევიდნენ როგორც ქართველი ისე სომეხი ხმოსნები.

ამ კომიტეტმა, თვით მ. ხითაროვის თავმჯდომარეობით, სასურველად სცნო საავადმყოფოს დაარსება და საჩქაროდ შეუდგა, ქალაქის ექიმ გ. ავალიშვილის დახმარებით საქმის განხორციელებას. სწორედ ამ დროს ტფილისში ხდებოდა ქალაქთა კავშირის საექიმო ნაწილის ლიკვიდაცია და საბჭოს შუამდგომლობის თანახმად მთელი მოწყობილება იქიდან იქმნა მოტანილი. ამნაირად მოეწყო საავადმყოფო და უკვე მოხდა მისი ოფიციალური გახსნა, რომლისათვისაც ტფილისიდან საგანგებოდ ჩამოვიდნენ თვით საავადმყოფოს დამაარსებელი მ. ხითაროვი და სეიმის წევრი—თელავის ქალაქის თავი კ. ანდრონიკაშვილი.

საავადმყოფოს ექიმებად მოწვეულ არიან, ექიმები გ. ავალიშვილი და ალ. ხითაროვი, აგრეთვე შემდგარია მთელი შტატი როგორც საავადმყოფოს გამგის ფერშლებისა, ბებია ქალის და სხვ. მოსამსახურეებისა.

საავადმყოფოში მოწყობილია მუდმივ ავადმყოფთათვის 25 საწოლი, არის მშობიარეთათვის ცალკე განყოფილება მხოლოდ გარედან მოსიარულეთა მიღება მოხდება ყოველ დღე.

ვფიქრობთ რომ ეს დაწესებულება დასდგომოდეს დარაჯად მოქალაქეთა ჯანმრთელობას და კეთილდღეობას, მაგრამ არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ჯერ სულ არაფერი გვქონდა და ეხლა კიდევ ძლიერ ფართოთ შეადგინეს მისი ხარჯთ-აღრიცხვა, ისე რომ მ. ხითაროვის შეწირულება მალე ამოიწურება, და ქალაქს დააწვება, შესაბამად, რასაც კარგა დიდი თანხა მოუნდება.

ვინც იცის ჩვენი თელავის ავლადიდება, მისთვის ნათელია, რომ ძნელი იქნება მისი გაძღოლა ქალაქისათვის, უმეტეს მოქალაქეთა სიმრთელეზე ზრუნვა მარტო ამ საავადმყოფოთი არ უნდა განისაზღვრებოდეს როცა თელავის საბჭოს აქამდე ერთი ოთახი არა აქვს გადამდებ სენით ავადმყოფთათვის (როგორც სახადი, ხოლერა და სხვ.) რაც ძლიერ და აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და რაც უნდა ყური წაიყრუოს ჩვენმა საბჭომ, ძალაუნებურად მოუხდება ყურადღების მიქცევა, არა მარტო ასეთ საავადმყოფოს, ან სწორედ რომ ვთქვათ, ბინის მოწყობით, არამედ ისეთ ეპიდემიის წინააღმდეგ ზომების მიღებაც, როგორიც ყვავილი, ქუნთრუშა, ხუნაგი და სხვ. რომლის შესახებ ჩვენში ჯერ არაფერი არ გაკეთებულა, თუმცა ყოველწლივ გამუდმებით ჩნდება ეს სენი და მსხვერპლიც არის ხოლმე...

დავიწყებული.

მოწერილი ამბები.

სოფ. ბოსლევი (ზემო იმერეთი). აქ სიმშილობამ უკვე კაი ხანია თავი იჩინა. ამ ნიადაგზე კიდეც გახდა ავად რამდენიმე გლეხის ოჯახი.

ამ დღეებში ბოსლევის მომხმარებელ საზოგადოებას „გამარჯვება ძმობასი“ ჰქონდა საზოგადო კრება, უპირველეს საგნად იყო ის კითხვა, თუ როგორ შველოდა ხალხს, რომ სიმშილს არ ამოეწყვიტა. კრებამ ერთხმად დაადგინა: [illegible] გამგეობამ 20,000 მან. კერძო პირისაგან [illegible] წიგნით [illegible] დაიკისროს, გამგეობის ცალკე კიდევ სვიმონ სვიმონის ძეს აბაშიძეს, პავლე კონსტანტინეს ძეს ორჯონიკიძეს და მასწ. სიმონ მაქსიმეს ძეს კაპანაძეს (თავმჯდომარეს). ამათში პირველი, ბ. აბაშიძე, დაპირდა კიდეც გამგეობას ოცი ათასი მანეთის სესხებას.

გამგეობამ მალე მოუპოვა მათ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტიდან ნებართვა სიმინდის შოვნისა ჩრდილო კავკასიაში რამდენსაც კი იშოვნიდნენ და ქუთაისის გუბერნიაში კი მხოლოდ ხუთასი ფუთის მეტს ვერ შეიძენენ, მაგრამ რა უნდა იყოს 500 ფ. სიმინდი ამდენ დამშეულ ხალხისათვის?!

იმედია ზემოაღნიშნული პირები არ დაიშურებენ [illegible], რომ ხალხს [illegible] მინდობილება სისრულეში მოიყვანონ და კოოპერატივს მოაწოდონ ხალხისათვის სიმინდი სეიდანმე. მაგრამ დიდის სიფრთხილით კი უნდა მოიქცნენ რომ მათ სიმინდი სხვაზე მეტ ფასში არ დაუჯდეთ და კოოპერატივიც არ აზარალონ, თორემ მას, კოოპერატივს, შეძლება არ ექნება, რომ თავის მოვალეს არამც თუ სარგებელი ფულისა, თავნიც გადუხადოს.

ამ კრებას ბლომად დაესწრნენ ქალები, რომლებიც მეტ მწუხარებას გამოთქვამდენ სიმშილობის გამო. მეტადრე მათ ებრალებოდათ განსაკუთრებით ერთი ოჯახი, რომელიც ხუთი-ექვსი სულისაგან შედგენილია. ოჯახის უფროსი კიდეც ავად გამხდარა და ლოგინად ჩავარდნილა. ქალებმა კრებას სთხოვეს ამ ოჯახის შეწევა, მაგრამ ეს გაიგო თუ არა ბ. სვიმ. აბაშიძემ, აღარავის აცალა, მაშინვე თავად ამოიღო ასი მანეთი და გადასცა კოოპერატივს, რომ მისი სიმინდი გაეგზავნა ამ გაჭირვებულ ოჯახისათვის. კოოპერატივსაც მხოლოდ ხუთი ფუთი სიმინდის მეტი არ მოეძებოდა, რომელიც ყველასათვის კი იყო იგი საჭირო, მაგრამ ყველამ ერთხმად დაუთმო ამ ოჯახისათვის. კრებამ დიდი მადლობა გადაუხადა ბ. აბაშიძეს ასეთი მხურვალე გრძნობის გამოჩენისათვის ამ გაჭირვებულ ოჯახისადმი. საწყალი ოჯახის უფროსი ვას. კაპანაძე, მეორე თუ მესამე დღეს კიდეც გარდაცვლილიყო.

ერთი სიტყვით ენით გამოუთქმელი გაჭირვებას განიცდის სოფელი და შველა კი არსაიდანა სჩანს. რა ჰქნას კოოპერატივმაც, როცა მას სიმინდი არსაიდან არ ეშოვება მოსატანად და ან როგორ მისცეს ფუთში ორი სამი თუმანი. მანამსავით ველით ჩრდილო კავკავის გზის გახსნას, თუ კი დაგვითმეს მათთვის ურგები სიმინდი...

ი. თავშერა.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! გორის ფილიალური განყოფილება მასწავლებელთა კავშირის, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობას უცხადებს გორის სამეურნეო საზოგადოების გამგეობას, რომელმაც უსასყიდლოდ დაუთმო ერთი მოწყობილი ოთახი ბიუროსათვის ზემოხსენებულ კავშირს.

მასწავლებელთა კავშირის მინდობილობით ფილიალური განყოფილების გამგეობა.

—

გულითად მადლობას უძღვნი ზესთაფონის მცხოვრებს მიხეილ მახარობლის ძე სიხარულიძეს, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა 60 მანეთი სოფ. კრტიანეთის 2 კლასიან სასწავლებელს გარდაცვალებული ერისტო გაგუას გვირგვინის ნაცვლად.

სოფ. კრტიანეთის მინდობილებით

სილიბისტრო გაგუა.

—

მოქალაქე რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა უძღვნათ ქ. ჭიათურის მომხმარებელ საზოგადოება „ჩვენი ოჯახის“ გამგეობას, რომელმაც კეთილ ინება და 500 მანეთი შემოსწირა ამავე ქალაქის ქალთა საზოგადოებას.

ჭიათურის ქალთა საზოგადოების

გამგეობა.

გამომცემელი
[illegible]
[illegible] კომიტეტისა

ვისაც
სუსუნატი (გონორეა) სტანჯავს, დაიჩქაროს მიმართოს მარტო ე. მ. აკოფოვს. საუკეთესო საშუალებაა. რაც მალე იქნება, მით უკეთესი. შეიარეთ მასთან 3-დან 7-მდე. ტფილისი კასინოგორსკის ქუჩა № 3. ე. მ. აკოფოვი. 511

ექიმი
ე. ლ. მელამბერიძე
იღებს [illegible] და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
დინხინი
პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასისტენტი იღებს [illegible] ტკივილებით ავადმყოფებს. დილის 7—12½ ს. საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპ. 76 ([illegible]). ტელეფონი 7—38. 518

ექიმი
ი. ი. ზერიშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 450

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. მაჩაბლის ქუჩა, № 7. 2130

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
ბ. მ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფთ [illegible] 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, [illegible] შენობის პირდაპირ, სახლი [illegible]. ტელეფ. 5—17. 1030

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის ქალთა საავადმყოფოსი, იღებს 4—6 ს. გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. მეორე სართული. 1009

ექიმი
ნ. ა. ფოფხაძე
მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამ. გრაფის ქუჩა № 8. სახლი მონასელიძისა. 459

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მ[illegible]ის ქ. № 11. 426

ქ. კავკავში.
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
მაჩაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. [illegible] ქუჩის [illegible], სახლი პაპოვისა. 142

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 1002

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესე მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
მ. წინამძღვრიშვილი.
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა, გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბომონდის“ პირდაპირ. 1029

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის
და ლ. მ. ნაზარეტიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე. ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე.
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1153

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ვ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. ჯ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტეხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
მ. ვ ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალებისა და საბებიო ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელოვნურ თითის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგეობით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

სტამბა
„სახალხო საქმე“
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14. ტელეფონი 17—96

სტამბა „სახალხო საქმე“, ბარონის ქუჩა № 14